

გაზეთის ფასი:

| | | |
|-------------------------|-----------|-----------|
| თბილისში | ბაზუგაზე: | ბაზუგაზე: |
| და გარეშე ადგილებში: | — — — | — — — |
| ქრისტიანობა — 7 მან. | — — — | 6 მან. |
| 10-ის თვისა — 6 — | — — — | 5 — |
| წახვევის წლისა — 4 — | — — — | 3 — 50 კ. |
| სამის თვისა — 2 — 50 კ. | — — — | 2 — |

საქართველოს ჟურნალის გადამცემი — შ. შაურია.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამა, სტამბაში, ბალაიხის პროსპექტზე, რეიტერის სახლში, სადაც ბერენშტამის წიგნის მაგაზინი იყო.
თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ. ВЪ КОНТОРУ РЕДАКЦІИ ГРУЗИНСКОЙ ГАЗЕТЫ „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი ბანსხადება სხვა და სხვა ენებზედ. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრევის ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საკონსტიტუციო და სალიტერატურო გაზეთი.

ჩემი პიროვნება.
ხელის-მოწერა „დროებაზედ“ ყოველთ-ვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება პირდაპირად ნუშრიდამ.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროე-ბის“ ხელის-მოწერებს, რომელთაც გაზე-თის ფული ვერ არ მოუტოვებ, შემოიტანონ ეს ფული.

ზინა-არსი: მმართველობის განკარგულე-ბა: — შალესი ბრძანება. თბილისის საქალაქო ამორჩევანზედ. პოლიტიკა. — შარანია. — პრუს-სია. — შვეიცარია. — შერმანია — იტალია. ტელეგრა-მები. ახალგაზდა დედებს და ყმაწვილ ქა-ლებს. — შაწვილის თავ-შეკავება. პოსტბრძკის ტყუილი ინგილოებზე. სხვა და სხვა ამბა-ვი. სახანო განცხადება.

მმართველობის განკარგულება.

შალესის ბრძანებით, 8 ნოემბერს, პეტერბურგს, მიუცათ თანამდებობაში და მახურობისათვის გენერალ-მა-იორობა: არმიის კავალერიაში მდგომარეს და ქვეკაპი-ის არმიისთან მყოფსპოლკოვნიკს ის რაფილ-ბეგ-მდი-გაროვსა და დარჩება ქვეკაპიის არმიისთანვე; გან-საკუთრებითის მინდობილებისთვის მყოფს ქვეკაპიის ნა-მესტნიკან პოლკოვნიკს პოხენს; მისის იმპერატორე-ბითის უმაღლესობის ადიუტანტებს ლეიბ-გვარდიის საც-ხენოსნო არტილერიის პოლკოვნიკს გრაფს ლევა-შოვს და ლეიბ-გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკისას თავადს ტრუბეკოვს; არმიის პეხოტაში მდგომარეს ქა-ვეკაპიის სამთო მმართველობის უფროსს სტაროსელსკის. პოლკოვნიკობა მიეცება ბორის უფლის ნ. ჩალონის პოდ-პოლკოვნიკს თავადს მრისთავს.

ზადიყვანებიან: უფლის სასწავლებლების სმოტ-რიტლები: სილანოვა — სერგეევი და ნახიჩევინა — ტურბატოვი, ერთიმეორეს ადგილს. მუთისის გინაზის უფროსი მასწავლებელი შოლკოვიჩი — რუსეთში.

თბილისის საქალაქო ამორჩევანზედ.

„დროების“ 32, 33, 34 და 35, ნუმრებში დაბე-ჭდილი იყო 1866 წლის 11 აგვისტოს შმა-ლესად დამტკიცებული წესდება თბილისის ქალაქის საზოგადო მმართველობაზედ. მმარ-თებლობამ კიდევ მოახდინა განკარგულება, რომ ეს წესდება სისრულეში მოვიდეს. რაკი კამისიამ, რომელიც ამ საქმის თავიანთზედ დაწესებული იყო, ცნობაში მოიყვანა პირები, ვისაც ხმის უფლება ჰქონდათ, შემდეგ დი-ნიშნა დღე, როდესაც ამორჩევა უნდა დაწ-ყებულ-იყო. ნომრების 29-ს ყველა ხმის-მეკ-ონი თბილისის მცხოვრები მიწოდებულნი იყვნენ კამისისაგან ამორჩევის დასაწყებად. ახალი წესდებით ყველა თბილისის მცხოვრე-ბლები დაიყოფება ოთხ უწყებად. 1-ს უწყ-ებას შეადგენენ შთამომავლობითი აზნაუ-რები, 2-ს-პირადი აზნაურები და საპატრიო-მოქალაქეები, 3-ს მოქალაქეები და ახალმო-სულეები, და 4-ს მკვიდრი მცხოვრებლები, რომელთაც ქალაქში უძრავი საკუთრება არ აქვთ, მხოლოდ ვაჭრობენ, ან ხელოსანობენ და საქალაქო ხარჯს იხდიან. 29 ნომბერს ეს ოთხი უწყება ცალ-ცალკე შეიკრიბა სხვა და სხვა ადგილს და თვითთავადაა ამორჩე-ას-ასი კაცი, ამორჩეულთა წოდებულნი, რო-მელთაც შემდეგ უნდა ამორჩიონ ყველა თანამდებობის პირები ქალაქის საზოგადო მმართველობისათვის. მეორეს დღეს, 30 ნო-ემბერს, 400 ამორჩეულნი, ოთხივე უწყების წარმომადგენლნი, შეიკრიბნენ თბილისის კლუბის ზალაში. აქ თბილისის გუბერნატო-რმა, ტინი სოვეტნიკმა მარლოვსკიმ წარმო-სთქვა ამ შემთხვევის შესაფერი სიტყვა, რო-მელშიაც ახსნა ახლის წესდების მნიშვნე-ლობა ქალაქისათვის და გამოაცხადა იმედი, რომ ამორჩეულები დანიშნენ პატრიოსანს, გამოცდილს და საიმედო კაცებს საქალაქო თანამდებობებში. „ამ ამორჩევას დიდი მნი-შვნელობა აქვს ქალაქისთვის, სხვათა შორის სიტქვა გუბერნატორმა. თუ თქვენგან ამორჩე-ული პირები კარგათ წაიყვანენ საქმეს და ამით დაამტკიცებენ, რომ ქალაქს შეუძლიან თვითონ მმართოს თავის საქმე, იმედი, რომ თან და თან გავრცელდებიან უფლებანი, რომელნიც ახალი წესდებით იმას აქვს მინი-ჭებული.“ მასასრულ გუბერნატორმა გამო-აცხადა, რომ დღის შემდეგ ამორჩევა ე. ი. კენჭის ყრა გაიხსნა და ამორჩეულები ეკ-კლესიაში დასაფიცებლათ მიუწოდა. მართლ-მადიდებლები წაიყვანენ სემინარიის ეკლესი-აში; წირვის მოსმენის შემდეგ ისინი დააფიცა საქართველოს ეკლესიაში შესვლით. სომხებმა დაიფიცეს მანქის ეკლესიაში. 1-ს დეკემბერს უნდა მოხდეს ხმის-მომხრების (გლანების) ამო-რჩევა. 400 ამორჩეულმა უნდა ამორჩიოს 100 ხმისანი, თვითთავის უწყებებამ ოც-და ხუთ-ხუთი. შემდგომ დღეებში ამორჩეუ-ლებმა უნდა ამორჩიონ სხვა თანამდებობის პირები საქალაქო სამმართველოსათვის და ბოლოს — ქალაქის თავი.

კამისიის წევრათ. ნემენტურს გაზეთებში, 10 ნომბრიდამ სწერენ: „მართს ყავახანაში de la jeune France, რომელიც იმყოფება სენ-მიშელის ბულვარზე, შეიპყრეს რამდენიმე ყმაწვილი კაცი. მისი შეიყარნენ ერთად იმისთვის, რომ წაეკითხათ შელიკი პიას წე-რილი და მიტორ ჰუგოს „Châtiments.“ პოლიცია მოულოდნელათ დაცა იმთ და შეიპყრო ყველა იქ მყოფნი ახალგაზდა ყმაწვილი-კაცები, რიცხვით 41, სახელობ ორი ადვოკატი, ერთი აქიმი, თორმეტი სტუდენტი, ორი სამსახურში მყოფი ახალ-გაზდა კაცი, რვა პრიკასნიკი და თექვსმე-ტი მუშა. იმ დროს, როდესაც ყავახანას უტბათ დაესხა პოლიცია, იქ იყო 47 ყმა-წვილი კაცი. მქვის იმთგანი, პოლიციე-ლებთან ცხარის შებასების შემდეგ, გასლ-ტნენ და დაიშლნენ. შეპყრობილებს სახ-ლები დაუშინჯეს. იქ იპოვეს მრავალი წიგ-ნები, ბროშურები და სხვანი. ამ შეპყრობილე-ბის ნათესავეები მოდიოდნენ პოლიციასთან, რომ ენახათ ისინი, მაგრამ პოლიციამ იმათი ნახვის ნება არ მისცა და დაფარულათ ჰყავს ისინი დატუსაღებულები.

იმთ მიაწერენ იმ დანაშაულობას, რომ ვითომც ისინი ეკუთვნოთ „საიდუმლო საზო-გადობას.“ ამ საზოგადოების მოთავედ ირაც-ხებიან ორი ყმაწვილი კაცები, რომლებიც მხედ მოქმედებდნენ ლუტისის და ქენევის კონ-გრესებში. ძალიან გაცხარებული გამოძიებაა. ღიღიხანა პარიკში ღარავინ შეუპყრიათ პო-ლიტიკურის დანაშაულობისთვის. საზოგადო-ება ფიქრობს, რომ არის შეთქმულება, რომელ-საც აქვს ვრცელი საზღვარი და დიდი ძალა. მაგრამ ეს აზრი არ არის საფუძვლიანი. მაზე-თი Siele გვარწმუნებს, რომ ეს სრულებით უბრალო საქმეა და ყურად-ღების ღირსი არ არის. თუ ეს მართალია, მაშინ ეს შეპყრო-ბილი ყმაწვილი-კაცები მართო იმაში იქმნე-ბიან პასუხის-მგებლები, რომ იმათ პოლიცი-ის ნება-დაურთველათ შეყრილობა გამართეს. ასე ამბობს გაზეთი Siele. სხვა გაზეთებში სწერენ, რომ ესენი საიდუმლო საზოგადოე-ბის წევრნი არიან. ამათ რიცხვში ურევინ დიდის შთამომავლობის შვილებიც.

ზოგნი კიდევ ამტკიცებენ, რომ ამ შემთ-ხვევასთან არა აქვს არა ვითარი კავშირი იმ დემონსტრაციას, რომელიც სამედიკო აუდიტორიაში მოხდა და სადაც ყვიროდნენ: „ლუტისის კონგრესს გაუმარჯოს! მაუმარჯოს მატერიალიზმსა. ლუბანლუ, დაგვეკარგე. ღღეს სალამოს პარიკის მცხოვრებლები დიდათ შეშ-ფოთდნენ, როცა მოესმათ თოფების გრიალი. მეგანათ, რომ ადგომა მოხდა. ამ უქანასენ-ლის დროში ბევრი შეიპყრეს და ეს უფრო აძლიერებდა ხალხის აღშფოთებას. მაგრამ ბოლოს გაიგეს, რომ ჯარი ისროდა თოფებს სავარჯიშოდ და არა ვითარი ბრძოლა და შეტაკება არა ყოფილა.

პრინცი ნაპოლეონის დანიშნა სამხედრო კამისიის წევრათ დიდათ შესანიშნავია შრან-ციის არმიის მდგომარეობის გასაუმჯობესებ-ლად, რადგანაც ამ შემთხვევაში ის მოიყვანს აღსრულებად დემოკრატიულს აზრებს. ხალხის მოწინავე პირნი ითხოვენ ჯარის გაუმჯობე-სობას და კამისიაც მოახდენს პროექტში სხვა და სხვა ცვლილებას.

განცხადება

საკონსტიტუციო და სალიტერატურო გაზეთის „დროების“ გამოცემაზე 1867 წელს.

გაზეთი „დროება“ 1867 წელს გამოვა იმავე მიმართულებით და იმავე რიგით, რო-გორც გამოდის 1866 წელს.

თუმცა „დროებაში“ რამდენჯერმე წარმოვსთქვით ჩვენი აზრი, რა მნიშვნელობა და გავლენა უნდა ჰქონდეს ჩვენს ცხოვრებაზედ გაზეთს და ჟურნალს, მაგრამ ვალათა ვრაცხთ ესთქვათ კიდევ რამდენიმე სიტყვა ამ საგანზედვე.

ახალია ყველასთვის, რომ დრო იცვლება. ბევრი რამ, რაც ჩვენს მამა პაპებისთვის იყო საჭირო, ახლა იმათის შთამომავლობისთვის გამოსადეგი აღარ არის. ჩვენ თვითონ დამსწრე-ნი ვართ, რომ ზოგიერთი რამ, რაც საჭიროთ მიგვანდა, ის ჩვენ დროს უფარვისათ მიანჩიათ და ჩვენც თავი დავანებეთ. ეს არის ბუნებითი კანონი კაცობრიობის მოძრაობისა და ამ კა-ნონს ვერ წაუყვან ვერც ერთი ხალხი, რომელზედაც კი შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილათ სცხოვრებს.

ჩვენ უნდა ვეცადოთ დაესტოვოთ ყოველივე უფარვისი ჩვენს ცხოვრებაში, რაც კი გვიშლის, რომ ნამდვილს განათლების გზას დაეადგეთ და დაუხლოდეთ იმ ხალხს, რომელიც ჩვენზედ წინ არის და ვისგანაც გვმართებს მივიღოთ ბევრი სწავლა.

აი ჩვენის ფიქრით როგორი აზრი უნდა ჰქონდეს ყოველს გაზეთს და ჟურნალს, რო-მელიც კი დაიწყებს ამ დროს თავის შრომას. ამის გარდა ახლანდელს გაზეთს და ჟურნალს უნდა ჰქონდეთ ის მნიშვნელობა, რომ ნათელის გარკვევით გაადილონ ყველა ნამდვილი და კანონიერი სურვილი და საჭიროება. აგრეთვე იმათ უნდა უჩვენონ საზოგადოებას უნდა თუ არ არის საჭირო, ან როგორ და რა რიგით მოიპოვონ და გამოიყენონ ეს საჭიროება, რომ საზოგადოება წაივდეს წინ, და მიიღოს ის, რაც მნიშვნელობა აქვს საზოგადოებას ბუნე-ბით დანიშნული.

გაზეთის პროგრამა და რჩება ისევე ისე, რომელიც იყო გამოცხადებული წლეულს. ჩვენ თვითონვე ვაღვიარებთ, რომ იქნება ბევრი რამ არ ავასრულეთ, რაც დავპირდით მკითხველებს; მაგრამ იმითი ვიმართლებთ თავსა, რომ ამ წელიწადს ბევრი იმისთანა ცვლი-ლებანი მოხდნენ, რომელთაც დავიშალეს ჩვენის პროგრამის სრულათ ასრულება..... ამასაც კი ვიტყვით, რომ ჩვენ, ჩვენის მხრით, მეცადინეობა არ მოგვიკლია; მაგრამ ამისი განსჯა თითონ მკითხველებისთვის მიგვინდია. ასეც უნდა გამოვაცხადოთ, რომ ამის შემ-დეგ „დროებაში“ ხშირათ იქნება იმისთანა სტატიები, რომელნიც ჩვენს ქვეყანას შეეხე-ბიან. მომავალს წელიწადში დაიბეჭდება ვრცელი სტატია: კამპანია, ანუ ისტორიული, გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული (*) ცნობები ამ მხარეზედ. ის ეკუთვნის „დროების“ თანამშრომელს დი. ბაქრაძეს.

„დროება“ უწინდელათვე გამოვა კვირაში ერთხელ, პარასკევობით, ერთის თაბახიდან თა-ბახ ნახევრამდე.

შასი მთელის წლის ნუმრებისა არის: გაუგზავნელათ თბილისში 6 მანეთი, გაგზავ-ნით თბილისში და გარეშე ადგილებში 7 მანეთი.

გაზეთზედ ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, „დროების“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება მელიქიშვილის და კამა, სტამბაში, ბალაიხის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში. თბილისის გარეშე მცხოვრებთ ვთხოვთ უმორჩილესათ, რომ თავიანთი მოთხოვნილე-ბა გამოგზავნონ ხოლმე ამ ადრესით: ВЪ ТИФЛИСѢ. ВЪ КОНТОРУ РЕДАКЦІИ ГРУЗИНСКОЙ ГАЗЕТЫ „ВРЕМЯ“, ПРИ ТИПОГРАФІИ МЕ-ЛІКОВА И К-О.

(*) მონოგრაფია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ხალხის ჩვეულების აღწერას.

პოლიტიკა.

შრანცია. პარიკის ლათინურს კეარ-ტალში რამდენიმე კაცი შეიპყრეს. ცუდ-უბრალო შეშფოთება. — პრინცი ნაპოლეონის დანიშნა სამხედრო



ლებს; ყოველს მამას და დედას ჰგონია, რომ იმით შეიღწეულ უკეთესი ქვეყანაზედ არ მოიქმნება. დედამის ამ გვაჩივრება, თუ რომ ის ზომიერად ცხადდება, ბუნების შესაბამისა. ყოველს კაცს თავისი ქუთა აქვს და კიდევ ჰგონია, რომ ის შეუტყობელად აზრობს და მოქმედებს. რადგანაც ის ზღის თავის ყმაწვილს, ამისთვისაც ფიქრობს რომ იმისი შეიღწეული ყმაწვილებზედ უკეთ არის გაზდილი და უკეთესი ზნეცა აქვს. ამ საფუძვლით ვერაინ ვერ გამოიქცხავს, რომ ჩემს ყმაწვილს ქება დაუწყეო და ეთქვა, რომ ის ზნით სხვა ყმაწვილებს სჯობია.

მართლაც, ჩემს სამის წლის პაწაწას რომ უყურებო, როცა ის დარბის ოთახში, ან როცა მეთამაშება, ვერაფერს შესაწინააღმდეგებ იმაში ვერ ვპოვებთ და კიდევ გვეგონება რომ ის სრულყოფილი უბრალო ყმაწვილია. ზოგი იმას უზღველათაც ჩასთვლის, რადგანაც მუდამ ლაპარაკობს. ის დღეში ას ჯერ მინც გაიმეორებს იმ ნივთების სახელსა, რომლებსაც ხედავს და ყველა თავის მოქმედებასაც სიტყვით დაასახელებს. თუ დარბის, მაშინ ამბობს, დაერბივარო; თუ სკამს, ამბობს, რომ ეკამო. ამ გვართ იქცევა თითქმის ყოველთვის; სხვამ რო უყურებს, მართლად ენა ტიტინას დაარქმევს; თვითონ მეც უდარბისლო კაცს დამიძახებს, რადგან ყმაწვილი ტიტინს არ გადმიჩვევია. ჯერ არ ვეტყვი მითხველს, თუ რათა მსურს, რომ ყველა ყმაწვილები ამ გვართნი მოტყუებენ იყენენ; არ ვეტყვი, თუ რათა მინდა, რომ დღეში ას ჯერ მინც დასახელოს ხოლმე ყმაწვილმა ყველა ნივთები, ნახული კაცები და ყველა თავისი მოქმედება. ამასზედ შემდეგ უფრო ვრცელად მოვილაპარაკებ და კიდევ დავამტკიცებ, რომ ტიტინი ყმაწვილისთვის ძლიერ სასარგებლოა და იმას არც უნდა დავშალო, თუ ბევრს ლაპარაკობს.

როცა ჩემ პაწაწას ჰნახავ სხვა იმის ტოლს ყმაწვილებთან, მაშინ მხოლოდ დარწმუნდები, თუ რამდენათ განსხვავდება იგი იმათგან და სხვებზედ რამდენათ უფრო მაღლა დგას. ამ შემთხვევაში მხოლოდ იმის თავ-შეკავებას მოვიყვან მაგალითად. მანათ რამდენათ თავდაჭერილია ჩემი ყმაწვილი და სხვები იმისი ტოლები. მათი სახლობაში სტუმრად დავესწარი. ჩემი პაწაწა შეილიც თანა მყვანდა. შავა მოგვართვებს. მათი სტაქანი ყავა რძით ჩემს შეილს მიეცეო; მასპინძლის ყმაწვილები კი იღვანენ და დედ-მამას შეჩერებოდნენ.

„მაგათ ყავას არ ასმევთ?“—მკითხე მასპინძელს.

— ყმაწვილები პატარაობიდანვე უნდა შეეჩვიონ მოთმინებას, — მითხრა მასპინძელმა.

ის აზრი ძლიერ მომეწონა, იმით რომ უფრო, რომ ყმაწვილები მართლაც უყავით დარჩნენ. შავის სმა რომ გავათავებთ, ბაღში გასვლა და სვირნობაც დაუპირეთ. მინამ გარე ჩასაცემლებს მოვისხამდით, მასპინძლის ყმაწვილები მიესივნენ და ცლილს ყავის სტაქანებსა და ლოკვა დაუწყეს.

ჩვენ ყველანი ბაღში წავიდით. მზაზედ ჩემი ყმაწვილი ყოველს საგანს გულ-მოდგინეთ თვალს ადევნებდა. როცა ბაღში დავსვირნობდით, ის ქვიშაზედ თამაშობდა, კენჭებს აგროვებდა და დარბოდა. ჩემის მასპინძლის ყმაწვილებს კი თვალები გაუჩერდათ ტყბილის საჭმელის მოვაჭრებზედ და სიხარბით შესტკვროდნენ იმის კალათსა. ყმაწვილებმა ტყბილი საჭმელები მოითხოვეს; მაგრამ დედ-მამამ იმათ უარი უთხრა. ჩემი შეილიც ხან-და-ხან მოავლებდა ხოლმე თვალს ტყბილს საჭმელებს, მაგრამ შემდეგ ისევ გავართობოდა თამაშობაში; სხვა ყმაწვილებმა, კი თამაშობას გული ვეღარ მისცეს, მინამ ტყბილის საჭმელების გაძეიდავი იქ იმყოფებოდა. პაწაწა ქალი ეღუნებოდა თავის ძმას: — პაეღ, დედას უფული სთხოვე; ძმა კი დას ეხვეწებო: „ძატო, მისას სთხოვე“. მე მიწოდდა, ეს ყმაწვილები რითიმე გამერთო, და ამის გამო დავიწყე იმათ-

თან ერთად რბენა; მაგრამ როგორც ცოტად ირბინეს, მაშინვე ფული მთხოვეს კანფეტების საყიდლოთ. ბოლოს ყმაწვილებს მამამ ფული მისცა. მკ, რა რიგათ გაუხარდათ და რამდენი იყვირეს!... შევლამ მოილხინა. შემდეგ დასხდნენ და ჰამა დაუწყეს ნასყიდს კანფეტებსა. ჩვენ ისევ სახლში დავბრუნდით. ჩემმა პაწაწამ ცოტადენი კიდევ ითამაშა და შემდეგ დაიძინა. სხვა ყმაწვილებს კი თითქმის სულ არ უთამაშნათ: იმათ მთელი დრო მხოლოდ კანფეტების ფიქრში გაატარეს.

ახლა ეკითხოთ, ვისი ყმაწვილი უფრო თავ-შეკავებული და მომთმინია, ჩემი შეილი თუ ჩემის მეგობრისა? ამას გარდა კიდევ სხვა შემთხვევებსაც ვუთხრობ მკითხველებს, რომ იმათ გაუადვილდეთ ჩემ კითხვებზედ პასუხის-გება.

მართლაც ჩვენ ყველანი იმავე მასპინძლის სახლში ვისხედით ჩაის სასმელად. ჩემი პაწაწა შეილიც და მასპინძლის ყმაწვილებიც იქვე იყვნენ. მანკით მურაბა მოგვიტანეს. ჩემი ყმაწვილი მშვიდობიანათ იჯდა და ჩაის სვამდა.

მანკა არ დარჩენილა იმის შეუნიშნავი. „იმაში რა არისო, გაიწვინა ხელი მურაბიან ბანკისკენ და მითხრა. — მურაბაა — მიეუგე. „მემრიელია?“ — ღიან, — ეუთხარი. შავ-ვილმა ეს სიტყვა ოჯაკო კიდევ გაიმეორა, მაგრამ ჩაის სმა მინც არ გაუწყვეტია. როცა ჩაის სმა გაათავა, მომიბრუნდა და მითხრა: — მურაბა მაქამეო. მე ეუთხარი, — მურაბა საშენო არ არის; ყმაწვილი გაჩუმდა და მეტი აღარ უთხოვინა.

მასპინძლის ყმაწვილები კი სულ სხვა რიგათ მოიქცნენ: „დედა, მურაბა მაქამე“ ერთმა შეილიმა წამოიძახა. — არა, შეილიო; მურაბა სტუმრებისთვის არისო. — დედა ეუბნებო.

ყმაწვილი მინც არ ეშვება და ეხვეწება, ერთი ცვარი მინც დავისხობო.

რაც უფრო უარზედ იღვანენ დიდები, ისე უფრო დიდის სიხარბით შეტკვროდნენ ყმაწვილები დედ-მამას, რომელნიც თან-და-თან კოვზით იღებდნენ და სკამდნენ ყმაწვილებს წინ. ბოლოს ერთმა ყმაწვილმა დედას უთხრა: „მანა დედაც სტუმარია?“ მეორე ამბობს: „დედა, მეც სტუმარობა მინდა“. დიდხანს აწუხებდნენ შეილები დედას ამ რიგათ, მინამ მამამ არ დაუყვია და არ ჩააჩუმა ისინი; ყმაწვილებმა ჩაის სმა ისევ გაათავეს, რომ მურაბა არ უტამათ, მაგრამ ცხადათ კი ეტყობოდათ, რომ დედ-მამაზედ გაჯავრებულნი იყენენ. იმათ გავლენით შური თავიანთ დედ-მამაზედ. ის ის უშურია, რომელიც ამ გვართის მოპყრობით შემდეგში თან-და-თან დიდდება, დაჰბადებს იმათში უფროსების სიძულილს და აფიქრებინებს შეილებს დედ-მამის დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას.

მართლაც დუქნების გვერდით სვირნობა შემემთხვა და ჩემი პაწაწაც თან დამყვანდა; ამ დუქნების ფანჯარებზედ გამოფენილი იყო ბევრი გვერდილი საჭმელები, რომლებიც მოზდილს კაცებსაც მაღას უღვიძებენ; ჩემი პაწაწა შეჩერებია მხოლოდ ამ საჭმელებს და ყოველს საჭმელს თავთავის სახელს არქმევს: „მ! ლიმონები, თევზები, კიტრები, ნესებები“ და სხვა. მაგრამ არაოდეს იმას აზრში არ მოუვიდა ხილის თხოვნა. იმან ლიმონი დანახა საჭმელებში (ფანჯარებში) და მეუბნება: „ლიმონი მინდა“. მე ეუთხარი: — ის ლიმონები სხვისია. ამას შემდეგ იმან ხმა გაიფიცა და მეტი აღარ უთხოვინა. ახლა უნდა ეკითხო, თუ რა რიგათ მივაჩვიე ჩემი შეილი ამისთანა თავ-შეკავებას. რადგან მინდა, რომ სხვებსაც გადაეცე ჩემი მაგალითი, ამისთვის მოვეყვები ჩემს ყოფაქცევას. თუმცა ჩემი აღზრდის სისტემა (რიგი) მეტად აღვილი ასასრულებელია, მაგრამ უფროსებს მინც დიდი თავდარიგი, და თავ-დაჭერილება უმართებო ყმაწვილს შესახებ.

ჯერ ის განვიხილო, რომ ყმაწვილს ყოველის ფერში ჩემი გავგონება ჰქონებოდა. სხვადა, რომ იმისთანას არას დავასაქმებდი, რომ შესრულებოდა არ შეძლებოდა: ყოველთვის იმისთანა საქმეს მივანდობდი, რომ ასრულების ღონე ჰქონოდა და თვითონ იმისთვისაც სასარგებლო ყოფილიყო ამ საქმის ასრულება. არაოდეს იმისთანას არას მოვთხოვდი, რომ იმისთვის უსიამოვნოდ დარჩენილიყო. როცა ვეტყვოდი ესა-და-ეს გააკეთე, შემდეგ თვითონ მეც თვალ-ყურს ვადევნებდი იმის მოქმედებას, რომ ჩემი სიტყვა ასრულებინა; თუ საქმე იყო, თვითონ მეც მოვეხმარებოდი. მართის სიტყვით ჩემი შეილი ისე მივაჩვიე, რომ ყოველი ჩემი სიტყვა ბევრთად ასრულებინა. მართლაც იმისთვის მუდამ სასიამოვნო იყო ჩემის სიტყვის ასრულება, რადგანაც თვითონ მეც არ დავასაქმებდი იმისთანას რას-მე, რომ იმას არ მოსწონებოდა. ამნაირის მოქცევით ჩემი ჩივილი იმდენათ გავწაფე, რომ ყოველს ფერს მიჯერებდა. მაგრამ ამ გვართი მოჩილება არ იყო ბრმა მოჩილება; ის იყო ჩემზედ მხოლოდ გულ-დანდობილი. ჩემი ყმაწვილი ყოველთვის გრძობდა, რომ რასაც ვეტყვი, უეჭველად იმისთვის სასიამოვნოა და იმის უსიამოვნოს არც არას მე დავასაქმებ. ამას შემდეგ დიდი შრომა არ დამჭირებია, რომ ჩემი პაწაწა თავ-შეკავებული ყმაწვილი გამეხადა. მე მხოლოდ აზრში მქონდა იმისი მოჩილება და თვითონ მეც არ ვემტყუნებდი ჩემს სიტყვას.

ჩაის ესვამდით; მურაბა მოგვართვებს; ჩემს პაწაწას ჯერ კიდევ მურაბა არ ენახა. „მე რა არის“, მკითხა იმან. „მურაბიანი ბანკა — მიეუგე. ძვილეს ბანკა და ჯერ იმისი გარეგანი სახე გავაცენე ყმაწვილს; როცა საქამოდ ნახა და ყოველის მხრით გაიწვინა, შემდეგ იმან მთხოვა, რომ ბანკისთვის თავი ამეხადა. ბანკილამ რამდენიმე წვეთი ამოვიღე და მურაბის გემოც გავაცენე; თვით იმისი ფერიც ვასწავლე და აუხსენი, თუ რამდენათ სქელი წვენი აქვს. ამ სახით მურაბამ შეუძრა ყმაწვილს ერთის გრძობის მაგიერად ყველა გრძობა. როცა ბანკის ყურება მოსწყინდა ჩემს ყმაწვილს, შემდეგ ის სტოლზედ დავდგი და ეუთხარი, რომ მურაბა მე მომიტანეს. ყმაწვილს ამის მეტად აღარ უთხოვინა მურაბა; ჩემს მეგობრებს კი იმდენი აზრი არ მოსვლიათ თავში, რომ თავიანთი ყმაწვილები გაცნოთ მურაბასთან ყოველის მხრით. იმათ მხოლოდ მურაბის გემო გავაცენეს თავის შეილებს. ამის გამო იმათი ყმაწვილები როგორც კი მურაბას დინახავენ, იმავე წამს იმისი ჰამა მოუწოდებთ. თვითონ დედ-მამებზედ გაცნობენ ხოლმე თავიანთს შეილებს მართო გემოს სხვა და სხვა საჭმელებისას, დაჩვევენ იმათ გაუმადლობას და შემდეგ ჩივიან, რომ იმათი შეილები მომთმინები არ არიან! მე კი ჩემს ყმაწვილს პირველად სულ სხვა მხრით გავაცენე მურაბა, — ისე, რომ იმისი გემო თითქმის გულშიაო არ ჩაჰყვებოდა იმას.

(შემდეგი იქნება.)

პოსტარსის ტაშული.

ჩვენშიერ პოსტარსისაგან გამოწერაღის სიტყვებში ის კიდევ ამბობს: „საქათლის მახარაში შეკოლები რომ გაკეთდესო, ძლიერ სასარგებლო იქნებოდაო, ამისთვის რომ ჰარელები ძლიერ ნიჭიერი არიანო.“ ინგილოებიც რომ ნიჭიერი იყენენ, მაშინა? ამას მეც ვიტყვი, მაგრამ პირობით. ძლიერ სასარგებლოა შეკოლების დაწესება, თუ რომ ყმაწვილებში გარჩევა არ იქნება, თუ რომ მასწავლებელს ყველაზე ერთნაირი ყურადღება ექნება. მაშინ ყველანი მეცადინენი იქნებიან სწავლაზედ, და ინგილოებიც იბეჯითებენ. მაგრამ თუ მასწავლებელი გარჩევით მოეკიდა ყმაწვილს, მაშინ ის ბევრთად არ ისწავლის, სწავლას თავს მიანებებს და მაშა სადამე უნიქოთ აღმოჩნდება. რასაკვირველია, დღონდ-

ბა, დაფიქრებდა ყმაწვილი, როგორცაა [წინააღმდეგ] ხავს, რომ მასწავლებელი იმის [წინააღმდეგ] უნდა ხელს უსევამს, მამასავით ვალერსება, და ზოგს კი ერთს რიგიანს შეხედვასაც არ აღიბნებს. ამ შემთხვევაში ყმაწვილი თავისის უგუხურების გამო მასწავლებლის გამოჯავრებული არ ისწავლის და თქვენისთანა კაცს, უ. პოსტარსკი, ათქმევინებს: „ლოკის შეილები ბევრთად სწავლობენო, იმათ შეგონება და თავის მოყვარება აქეთო, ინგილოების ყმაწვილები კი ამ თვისებას მოკლებულნი არიანო.“ (მე არ ვიციოდი და ახლა შევიტყე პოსტარსისაგან, რომ ქვეყანაზე არიან კაცები, რომელთაც თავის სიყვარული თურმე არა აქეთო.) შეკოლებიც მაშინ იქნება უფრო სასარგებლო, როდესაც ამ შემთხვევების ხალხების შეილები ყველანი კარგათ ისწავლიან. მორემ ერთი ტომის შეილებმა რომ ისწავლან და სხვებმა კი არა ეს უფრო საზარალოა სხვა ხალხებისათვის, ნამეტნავათ ამ საქათლის მახარაში, სადაც სხვა და სხვა ტომნი ერთმანეთს ძლიერ უბღვერიან. პოსტარსკი, ამოწერილის სტრიქონების შემდეგ, განაგრძობს ინგილოებზე: მგრეთვე წასულს დროებას ძლიერ ცუდი მიმართულება მიუტიაო ინგილოების ზნობისათვისაო. სიტყუე, ქურდობა, ფიცის გატეხა, თითქმის კაცის კვლაც ინგილოებს არაფრათ მიანჩიათო. ლეკები კი — განიჩევიანო პატიოსნებით; მაგრამ ეს კი უნდა ესთქვაო, რომ ერთმანეთის საქმეებში (ეს უფრო ცუდია) მხოლოდ თუ რუსებთანა აქეთო საქმე, მაშინ ძლიერ საძაგელნი არიანო.“

შოხალ, უფ. პოსტარსკი, გამოგიცენია! მურდობაც, სიტყუეც, კაცის კვლაც და სხე — სულ ინგილოებს სცოდნათ; ჰარელები ამ ხასიათისა არიან: ისინი, თქვენის აზრით, იმოდენათ პატიოსანი არიან, რომ ტყუილი, ქურდობა და კაცის კვლა იმათი საქმე არ არის, და ისინი არც ფიცს გასტეხენ; მაგრამ როდესაც იმათ რუსებთან ექნებათ საქმე, მაშინ ძლიერ უსვინდისონი არიან; მაშინ იმათთვის საძაგლოა არაფერია, ფიცის გატეხა ხომ მაღლია და მაღლი.

უფ. პოსტარსკი, ნუ კი გეწყინებათ, თქვენ ბევრს სტყუით, როდესაც ჰარელებს ინგილოებთან შედარებთ. მტყუანები, ქურდები, ფიცის გამტეხნი მართო ინგილოები კი არ არიან — სხვებიც არიან. ამ თვისებაებში არც ერთი ტომი ამ მახარაში მცხოვრები ერთმანეთს არ დაუფარებდა. ინგილოს მხოლოდ სახელი აქვს გატეხილი. მართალია, ინგილო ქურდობს, მაგრამ იმის ქურდობაში ჰარელსაც მოწაწილობა აქვს. ჰარელი იპარავს თავის სოფელში და ინგილოს აძლევს; ინგილო იპარავს — ჰარელს აძლევს. მე ამ გვართი გაცვლა-გამოცვლა ნაპარავისა ქურდებისაგანაც ბევრჯერ გამიგონია; ეს მართალია. ასე იქცევიან მულალებიც. იმათი ქურდობის ხასიათი ამ გვართა. მართო კვირა არ არის რაც შევიტყე, რომ ჰარელებს ბილაჯუფილამ ცხენები დაუპარათ. მართის სიტყვით, ქურდობა საქათლის მახარაში აქ მცხოვრების ტომების საზოგადო ხელობაა და არა მართო ინგილოებისა. მგელს მგელი ერქო, ტურამ ქვეყანა ამოგდო, სწორეთ ასეა ინგილოების საქმეც. ჰარელებმა ძანეთში და შიზიყში საქონელი არ გაუშვეს, და ინგილოებს კი პოსტარსკი ქურდებს უწოდებს. მაგალ, ქიზიყელს ცხენები დაპარეს ჰარელებმა და ის ახლაც იმას ღაობს. თვე ნახევარი არ არის, რაც მეორე შიზიყილამ გამოვიდა და ჰარელებს ოცდა ათის თუმნის საქონელს ვდავებოდა. ამ გვართი მაგალითები ათი ათასია, მაგრამ ყველას ვინ ჩამოსთვლის; ქიზიყელს რომ საქონელი დეკარგოს, ის წამოვა და ჰარში იპოვის. — დედა ნახე, მამა ნახე, შეილი ისე გამოანახეო. მაშინ ინგილოები იმათ რომ შეეადართო, ესენი პატიოსანი და რიგიანი შეიქმნებიან. მაგრამ არა: „ჰარელები პატიოსანი და სვინდისიანი არიანო“, იტყვის პოსტარსკი. მე

კი ვიტყვი ინგილოები პატრიარქი არიან. ქაცის-კელა იმას არაფრათ მიაჩნია, მაგრამ უ. პოსერბსკიმ ეს იმათი ნაკლებივანება დაძა-
ლა, არ გამოაჩინა. შარელისთვის სულ ერ-
თია ქათმის დაკვლა და კაცის კვლა, მეტად-
რე ქრისტიანისა, რომლის მოკვლაც იმას მა-
დლოთ მიჩნია. შიცის გატეხა ხომ იციან და
იციან, მაშა სადამე, ტყუილიც ჰსცოდნათ;
ფიცის გატეხა ტყუილის თქმა. ამას თვითონ
პოსერბსკიც აღვიარებს.

შრთის სიტყვით, პოსერბსკის ისე სხადენ-
გილოები, რომ რაც იმათი კარგი რამ არის,
იმას ისიც უხადებია. სადაც მართო ჰარელე-
ბი ძაგების ღირსნი ყოფილან, იქ ინგილოე-
ბიც უხადებია; მართო ჰარელეებისთვის წუნი
არ დაუღვია. მაგალითებრ, პოსერბსკი ამბობს:
„ინგილოები ისე ზარმაცნი არიანო, იმათ
ებარებათო ყოველისფერი საქმე, როგორც ჰა-
რელეებსაო“. შარელი, მართალია, ზარმაცია,
მაგრამ ინგილო არა. ინგილო მუშაობს, სა-
ქმეს აკეთებს ამისთვის, რომ ის თავის თავს
გლეს-მუშას ეძახის, ჰარელი კი—ბატონს. ჰა-
რელი სხვას უყურებს ხელში, სხვის მონაგა-
რით ცხოვრებს და ინგილო—თავის მონაგა-
რითა. მაშ რა მიზეზით მოხდა, რომ
ინგილოც ისეთი ზარმაცი გახდა და არის,
როგორც ჰარელი? შარელი ზარმაციც არის
და არც სურს იმას მუშაობა ამისთვის, რომ
ის წასულ შთამომავლობის ცხოვრებას ამ
დღეში ჩაუგდია, რადგანაც ის არა მუშაობ-
და და მართო ხალხის შრომით ცხოვრებდა;
და ახლა რაც მამა-პაპა ყოფილა, ისიც შთა-
მამლობა უნდა იყოს და არის.

პასერბსკის მე აღუთქვი, რომ რაც მართო
იმისის ჰკუილამ გამოსულა, ამაზედ ვილაპარა-
კებ მეთქი; მაგრამ მის და საუბედურით ერ-
თი ევებართელა ტყუილი ჩქარ-ჩქარა თვალ
წინ წამომიდგება ხოლმე; მე იმისის თვლი-
დამ მოზარეუბა ვერ შევიძელ და ამისთვის
მსურს ესეც მოვიხსენიო, რომ თქვენ, უ. პო-
სერბსკი, რაც გავიგონათ ზაქათალის მარა-
ში, სულ ინგილოებისთვის ტყაბა-ტყუბით მი-
გიყრიათ. თქვენ ვინ გითხრათ, რომ თუ ინ-
გილოს ქალსა სურს შეიტყოს კარგი თვისე-
ბისაა თუ არა თავისი მომავალი ქმარი კით-
ხულობს ხოლმეო: ქურდობაში ის გამოქნი-
ლიაო თუ არა და თუ ამას დაამტკიცებენო,
ის კმაყოფილდებაო.“ ძლიერ მივიჩნია, ვინ
უამბო პოსერბსკის ეს ამბავი: თუ—ჰარელე-
მა, იმან მათ როგორ დაუჯერა, და ინგილო-
საც არა ჰკითხა. მთელის ბროშურიდამ სჩანს,
რომ პოსერბსკისთვის ნათქვამს ძლიერ ადვილათ
იჯერებს. მე იქ დაბადებულს და იქ შეზდილს
არაოდეს არ შემიტყვია, რომ ინგილოს ქალს
ეს ეკითხოს და გამოეკვილოს. პოსერბსკი-
საგან ცილის დაწამების გამო ინგილოს ქალ-
ზე მე ათას ინგილოს ვკითხე, და ყველამ სი-
ცილით მითხრა: „ეგ ვის უთქვამსო! მე ჩვენ
არ ვიცითო და ამის მეტათ არც გავიგონა-
ო. იქნება ჰარელეებმა კი იცოდნენო.“

რომ ამ გვარი გამოკვლევა მომავლის
ქრმის თვისებისა ჰარელმა ქალებმა იციან, და
არა ინგილოებისამ, ეს სჩანს თვით პოსერბ-
სკის თხზულებიდან. ის სწერს: „თუმცა მამა
თანახმა არისო თავისის ქალის მიცემისა, მაგ-
რამ წესი ითხოვსო დედოფალსაც დაეკითხ-
ნონო; პირველს თხოვნაზე იმან უარი უნდა
სთქვასო; მერე მოლლა მერეთ მივაო, მაშინ-
ნაც უარს ეუბნებაო; უკანასკნელ, მესამეს
თხოვნაზედ დედოფალი თანახმა ხდებაო.“ ლა-
ნიშნის წესი ამტკიცებს, რომ ეს ამ გვარი
კითხვა ჰარელმა ქალებმა უფრო უნდა იცო-
დნენ, მაგრამ პოსერბსკის ეს დაუმაღავ. ინ-
გილომ ნიშნა სულ სხვანაირათ იცის: ის
ზოგს აკვანში დანიშნავს, ზოგს მერე. ამ სა-
ქმეში შესანიშნავი მხოლოდ ეს არის, რომ
ოცი წელიწადი რომ იყვნენ ქალ—ვაჟი და-

ნიშნულნი ისინი ერთმანეთს არ აჩვენებენ,
რადგანაც შემთხვევისა ემინიანთ; არ ეჩვენე-
ბიან აგრეთვე მეფე—დედოფალი ერთმანეთის
დედ-მამას; ამათ დედმამას ერთს რძალი მეო-
რეს სიძე დანიშნამდე თუ უნახავათ, რა კარ-
გი, თორემ მერე აღარ შეიძლება: მაგრამ თუ
ან ვაჟი ან ქალი უნახავათ არ მისცემენ.

ამ გვარი ტყუილები პოსერბსკის ბევრი
უწერია, მაგრამ ჩვენ იმათ ყურს არ ვათხო-
ვებთ უფრო ამისთვის, რომ იმის თხზულებ-
ბას არაფერი ღირსება აქვს. იმას სხვა ეუბნე-
ბა და ისა სწერს; ამისთვის ერთის აზრისა მე-
ორის წინააღმდეგობაც ბევრია იმის ბრო-
შურაში; ამასთანვე ცხადათ სჩანს, რომ ის
წინათვე არის დარწმუნებული ჰარელეების და
მულალების სიკარგვედ. ამის გამო მე იმის
ბროშურას, როგორც გამოუძიებლათ და გა-
მოუკვლევლათ მთხრობელის შემწეობით და-
წერილს, რომლისათვისაცა იმას თავისი ჰკუ-
დაუმონაგებია, თავს დავანებებ და ჩემით ვი-
ტყვი.“ მულალები ყოველ-ფერში ისე დაბლა
დგანან ინგილოებზე, როგორც პოსერბსკის
აზრით, ჰარელეები ინგილოებზე მაღლა დგა-
ნან ჰკუთ, ვაჟაკობით, სეინიდილით, ცხოვ-
რებით და სხ.—მულალი როგორ უნდა სჯო-
ბდეს ინგილოს, როდესაც ის არის გაქვლი-
ლი ჯერ ჰარელისაგან, მერე თავისის სილა-
რებისაგან. მულალი, სეთი ზარმაცია, რომ ინ-
გილოს ერთის დღისსაქმეს ის სამს დღეს აკე-
თებს. იმას არაოდეს არა აქვს იმედი მოსა-
ვალი, რომ წლითი წლათ გამოიკვებოს თავი.
ის მულამ მშვიდია. იმან თუ ყოველ წელი-
წადს სულადი არ იყიდა, მშვიდი ამოუწყდე-
ბა ცოლ-შვილი. ამასთანვე ის ცხოვრებს
ძლიერ დიდს უწმინდურებაში. მულალი თვი-
თონვე გეტყვის, რომ ინგილო იმას ყველა-
ფერში სჯობია. ინგილოებს თითქმის ანდა-
ხათა აქეთ: „მთელი თათრის სოფელი რომ
მოიარო, ერთს ქათამს ვერ იშოვნო. თვი-
თონაც ამბობენ: ინგილო რომ არ იყოსო,
სიმშლით დაიხიოცებთო. ბევრჯელ უთქ-
ვამთ ალებს, ბევრს და ხალხს, რომ ინგილო-
ები ბედნიერნი არიანო. მართლაც ინგილოს
არაფერი არ აკლია. იმას პური, ღვინო და
სხვა საქმელი ყველაფერი აქვს. ინგილო რაც
უნდა ღარიბი იყოს, ის პურს სხვისგან არა-
ოდეს არ იყიდის. ის კმაყოფილია თავისის
ცხოვრებით. მაშ ეს უნდა ვთქვათ, რომ ვი-
საც კუჭი მძღარი აქვს, ის ყოველთვის ამა-
ყია, და არც არავისგან არის კისერმოწყვეტი-
ლი. იმისი ვაჟაკობა მაშინ კარგათა სჩანდა,
როდესაც ყაჩაღების დრო იყო. ყაჩაღები და
ლევები არ შემოსულან ინგილოს სოფელში.
ისინი ვერაოდეს ვერ ჰბედადნენ ინგილოსა-
თვის თავ—დაცემას, რადგანაც იცოდნენ, რომ
ინგილოები მათ კეთილს არ დააყრიდნენ.
ერთხელ აჯი-მურადა შევიდა მასმალაში
და ლალაფაშაში, და ჰარელეები ნახევარი
უკან ვეღარ გაიყვანა. ინგილოები და ინგი-
ლოს დედაცები მამულებში დაიმაღნენ და
როდესაც ლევები შევიდნენ იმათა ეზოებში
და სახლებში, ისინი მოცივდნენ და სულ
ეზოებში და სახლებში დახიკეს. ერთმა ინ-
გილოს დედაცმა ლევებს ხუთი ცხენი მოს-
ტაცა. მერე დედაცმა სახლში შეიღ რვა
ლექს, როდესაც ესენი შინ შევიდნენ, გარედ-
გან კარები დაუტყდა; მერე სახლს მოუკიდა
ცეცხლი და ისინი თავგებსაგით სულ შიგ
ამოწვა. ამ ლევის შემოსვლის დროს მოხსე-
ნებულს სოფლებში თასმალაოვლები შინ არ
იყვნენ, თორემ როგორც ამბობენ, ერთი ცო-
ცხალი ვერ წავიდოდა. მაგრამ შინ მყოფ
კაცებს ისეთი ვაჟაკობა მოეხმარათ, რომ
მეზაირადე მოეკლათ. ამ გვარის ვაჟაკო-
ბით ლევები ისე ყოფილან ინგილოებისგან
დაშინებულნი, რომ იმათ ინგილოების ვაჟ-
აკობაზე ანდაზა შეუდგენიათ; ჩვენ ინგი-
ლოებს თავს ვერ დავეცემითო, ამისთვის

რომ ღორისთვის ორის ტყვიით გატენილს
თოფს ჩვენ გვესერებო.“ შარელესაც და
ზოგი ერთს მულალებსაც ღლისტის ლევებ-
თან და ყაჩაღებთან პირობა ჰქონდათ, რომ
ისინი ერთმანეთს არ ერჩოდნენ. ინგილოს
კი არაოდეს იმათთვის მხარი არ მიუტია, და
საცა ვინ დახვედრია, უხოცია. ამის გამო ისი-
ნიც ყოველთვის ცდილობდნენ, რომ ინგი-
ლო დაეჭირათ და ტყვეთ წაეყვანათ; მაგრამ
დაცემას ვერა ჰბედადნენ.—სამი კაცი რომ
ინგილო ყოფილიყო, და თხუთმეტი—ისინი,
მაინც ვერას გაბედადნენ. თორმეტი ლევი
ყაჩაღი ამ შეიღ-რვა წელში მართო ერთ ინ-
გილოა შადრას დაეცა. იმან სამი მოკლა და
ზოგი კიდევ სასიკვდილოთ დასჭრა. ბიძა ჩემმა,
1859 წელს სამი ყაჩაღი ლევი მოკლა და
თვითონაც მოვიდა სახლში და მოკვდა; ერ-
თმა ალიბეგლოვმა კიდევ სამი ჰარელი ცხე-
ნებიდამ ჩამოიღო და ცხვარსაგით თოვლში
ჩაკლა. შრთის სიტყვით, მე გაბედით ვიტყვი,
რომ ჰარელი ვერაოდეს ინგილოს ვერ დაი-
მორჩილებდა, თუ რომ ხელად იმას დაღის-
ტენილი, ყიზილბაში და ოსმალთ არ მომე-
ვებოდა. ინგილოს ჰარელი ეჯავრება, და
არც უდრეს იმას თავს. ის იმას პირდაპირ
ეუბნება, როგორც მე ზემოთ მოვიხსენე,
ალიბადლოვების სიტყვებით: „ამოდით, ახლა
წავეიკნეთო და ვინც დასძლიოსო, მიწებიც
იმას დარჩესო“. ინგილოს ახლა ძლიერ დიდი
იმედი აქვს, რომ თუ ისინი წაიკიდნენ, უწინ-
დებულათ ჰარელს სხვები ვერ მიეშველებიან,
და ისინი დასძლევენ. ინგილოებს რომ მმარ-
თებლობისა არ ეშინოდნენ, ჰარელებს ხარჯს
არ მისცემდნენ. იმისი გული ძლიერ ამაყია;
მეტადრე კახელებისა და მუსულმანის ინგი-
ლოებისა, რომელნიც სარწმუნოებით ამათ
გაუსწორდნენ.

მათაგებ ჩემს სტატია. იმაში ჩემი აზრი
ჯერ ის იყო, რომ „ღროების“ მეკთხელებისა
თვას მეჩვენებინა, რომ პოსერბსკი თავის
თხზულებაში ინგილოებზე თითქმის ყველას
შეცდომითა სწერს; აგრეთვე ბევრს სიცრუეებს
ლაპარაკობს ჰარელეებზე; მერე ისა, რომ ინ-
გილოები არც ჰარელებს და არც მულალებს,
არც ვაჟაკობაში, არც ნიჭში და არაფერში
არ დაუეარდებიან. თუ მე ეს ჩემი აზრი აღ-
ვასრულე ერთის ნემსის კუნწის ტოლათ
მაინც, მაშინ მე კმაყოფილი დავრჩები.

ინგილო.

სხვა და სხვა ამბავი.

ჰურნალში Сельское хозяйство, სხვათა შო-
რის, აწერენ აბრეშუმის სწეულებზე. ამ საგა-
ნზე სხვა და სხვა აზრია. ზოგი ამტკიცებს
ვითომც მიზეზი ამისი თვით ქიაში იყოს, ზოგი
ვითომც თუთის ხის ძალა შესუსტებულიყოს.
უკანასკნელს დროს „ბუგსბურგის გაზეთში“
სწერდნენ: მიზეზი სწეულებისა არისო, მერო-
პაში მიღებული წესი ქის გაზღისა, მაშინ,
როდესაც მსმალაში ეს სწეულება არ არი-
სო: იქ სხვა წესიაო. მეროპაში ფურცელს
გლეჯენო თუთის ხეს და ისე უყრიანო ქიას,
მსმალაში შტოებით უწყობენო, და შტოებ-
ზე ქიას ავათმყოფობა არ უჩნდებაო. ამ აზ-
რის ავტორს ეს შეუნიშნავს მცირე აზრის
ქალაქში ბრუსსაში.

მილანში ბოტარდო ძატრანომ გამოსცა
ბროშურა, რომელშიაც ისიც იმას ამბობს,
რომ მიზეზი სწეულებისა თუთის ხის ძალის
შესუსტებააო. იმის სიტყვით, აქამომდე მერო-
პაში ეს სწეულება არაოდეს არ ყოფილა.
მაგრამ ეს ტყუილია. აი ამისი დამარღვეველი
ფაქტები. 1726 წ. ქის სწეულება ძლიერ იყო
იტალიაში და შრანციაში. ეს სწეი მე 17 სა-
უკ. ყოფილა: 1688 წ. ის მოეფინა შრანციის
სამხრეთის ნაწილს: პარკი შემცირდა და პლან-
ტაციების პატრონები ისე შეშინდნენ, რომ

თუთის ხეებს ქია დაუწყეს. მართებლობა
გავრცია ამ საქმეში და უჩრებო წესს დასდო.
არ დაეკარგათ. მაგრამ სწეულები იქმნეს სწე-
ტებულა. 1690 წლიდან 1693 წლამდე ის სწე-
გაძლიერდა, რომ მეპატრონეებმა არ იცოდ-
ნენ რა ექნათ. მართებლობამ ეს ღორის-ძიე-
ბაც მიიღო, რომ საზღვარს გარეთ ყიდულნი
ბდა პარკებს და უჩრებდა თავის ფასით მამუ-
ლის პატრონებს. მაგრამ ამ ღონისძიებამაც
ვერათფერი გაარია. 1701 წ. თუთის ხეებს
ჰკავადნენ ასობით, სრულებითაც გაჰკაფე-
დნენ, მმართველობას რომ არ დაედო ჯარი-
მა თვითი მოჭირის ხეზე. ამ განკარგულე-
ბამ გამოიხსნა თუთის პლანტაციები. 20 წლის
შემდეგ 1708 წ. სწეულება მოისპო და დანა-
შთენ თუთის ხეებმა ისევ უხვათ მოსცე-
ნაყოფი.

—ამ წლის პარილის წიგნში, Annales de
Hygiene publique ებრალებზე მიწველ ლევის
სტატია, ღირსი შენიშვნისა. თვითონ ლევი
არის განთქმული მეროპის მწერალი. აი სხვა-
თა შორის ის რასა სწერს. მთელს ხმელე-
თზე არსად არის ადგილი, რომ ებრაელები არ
იყვნენ გაბნეულნი. მთელს მეროპაში სხვა-
ტომების 60 კაცზე ერთი ებრაელია, ესე-
გი, იმათი რიცხვი სამ მილიონს ნახევარზე
მეტია. მომატებული იმათგანი ცხოვრებს რუ-
სეთის დასავლეთის გუბერნიებში: იქ 7—8
მცხოვრების რიცხვი ერთი ებრაელია. ზო-
გან ისინი სრულებით განაპირებული არიან,
ზოგან კი (ანგლიაში და შრანციაში) უფრო-
დებიან ანუ შეუერთდნენ ხალხსა. ძველნი
დროდანვე ებრაელები ყველგან შევიწროე-
ბულნი იყვნენ, ადგილ-ადგილ ახლაც შევიწ-
როებულინი არიან. შრანციაში, ანგლიაში
და ლანიაში იმათ ისე უმზერებენ, როგორც
ყველა სახელმწიფოს ქვეშევრდამებს.—აღბ-
მიკვებობას ისინი ყოველთვის უფრო მისდე-
დნენ, ვიდრე სხვა ხელობას. ამისთვის სიმდი-
დრეც იმათში უფრო არის.

„სტატისტიკა გვიჩვენებსო, ამბობს ლევი,
რომ ებრაელებში უფრო იშვიათიაო ქორწი-
ნება, ვიდრე ქრისტიანებში. თუმცა იმათში
ბევრით ნაკლები რიცხვი ემაწვილები იხადე-
ბაო, ესეც კი არისო, რომ იმათ ემაწვილე-
ბში უფრო ცოტა იხოცებო. ამისი მიზეზი
ეს არისო, რომ ებრაელები შემდენი არაი-
ნო და ემაწვილებს უკეთ უვლიანო. მერე
შესანიშნავი ფაქტი ეს არისო, რომ ებრაე-
ლების ასაკოვანებშიაც ნაკლები იხოცებო.
ისინი ღრმა მოხუცებულობას მიაღწევენ ხო-
ლმეო. ახლა დარწმუნებით ვიციო, რომ სა-
ქრისტიანო მცხოვრებლებში მომატებულ
დედაკაცი იპოვება 60 წელზე უმცროსი, მა-
შინ როდესაც ებრაელების დედაკაცები მო-
მატებული იპოვება 60 წელზე ხშირია.—სჯუ-
ლის წინააღმდეგი ყოფა-ქცევა ბევრით ნაკლებ
ბიაო იმათში, ვიდრე იმათს მეზობლებში, სხვა
ტომებში. მიზეზი ამისი იმათი ზომიერი ცხო-
ვრება არისო. ლათობა ებრაელებში ძალიან
იშვიათი საქმე არისო. მბრალეების დღის ხნი
ცხოვრების მიზეზი თვით იმათი ზომიერი
ცხოვრებააო.“

სახაზინო განცხადებაჟი.
(Заравказский Вѣстникъ, 1866 г. № 47.)

- 1) შუთისის გუბერნიის მმართველობაში
1867 წ. 7 იანვარს მოხდებო ტარაი, რომე-
ლხელაც იჯარით გაიკვამა ქეთი-კირის გლე-
ხის აშენება იქ-ურის მაგაზინის გაწეუმო.
ამ შენობის აგება დაფასებულია 2478 მან-
ლი.
- 2) შუთისის გუბერნიის მმართველობაში
დანიშნა გასყიდვა უძრავის ქონებისა, რომე-
ლიც ეკუთვნის თავადებს ალექსანდრე და
სარდიან მანაბლებს და იმყოფება ბორ-
უეზის და იმავე უჩასტკის სოფელს ღი-
ბორიჯვარს. ის შეიცავს ხეხილიანს ვენახსა
სამს ნაჭერს სარწყავს მიწასა და სამს ნაჭერს
სარწყავს მინდორსა, რომელიც 1100 მან-
არის დაფასებული. ამ ქონების გაყიდვის ვად-
მომავლის წლის 18 იანვარს არის დანიშნუ-
ლი.
- 3) შუთისის გუბერნიის მმართველობაში
დანიშნა გასასყიდათ უძრავი მამული, რომე-
ლიც ეკუთვნის კნ. მთისაბედ ნიკოლოზის
ასულს ბაგრატიონ-მუხრანსკის და იმყოფე-
ბა შუთისის უეზში სოფ. ტაბანმელას. მ-
მამული შეიცავს ხის სახლს, დანგრეულს მ-
რანს, სახნავ და სათიბ მიწას და სხვ., რომე-
ლიც დაფასებულია 1935 მან. ამ მამულ-
გაყიდვა მოხდება გუბერნიის მმართველობაში
1867 წ. 23 იანვარს.